



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

ეგზ. N 1

„ვამტკიცებ“

თავდაცვის, საზოგადოებრივი
წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროს
აუდიტის დეპარტამენტის უფროსი

ვაჟა ბრატვაძე

„28. 12“ 2015 წელი

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო
სამართლის იურიდიული პირის აღსრულების ეროვნული ბიუროს

შესაბამისობის აუდიტის ანგარიში *№ 71/00*

01.01.2013წ. – 01.01.2015წ.

1. დასკვნა საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ	3
2. აუდიტორული მოსაზრების საფუძვლები შესაბამისობის შესახებ	4
3. შპს „ანაგთან“ გაფორმებული ხელშეკრულება N213	4
4. შპს „ანაგთან“ გაფორმებული ხელშეკრულება N134	5
5. შპს „აგრომშენსერვისთან“ გაფორმებული ხელშეკრულება	7
6. შპს „ანაგი თბილისთან“ გაფორმებული ხელშეკრულება N232	9
7. შპს „ნიუ კონსტრაქშენტთან“ გაფორმებული ხელშეკრულება	10
8. ფინანსური აქტივები, მოთხოვნები და ვალდებულებები	11
9. არაფინანსური აქტივები	12
10. შპს „ინტელექტთან“ გაფორმებული ხელშეკრულება	14
11. შპს „ალგორითმთან“ გაფორმებული ხელშეკრულება	15
12. შპს „პრიზმასთან“ გაფორმებული ხელშეკრულება	16
13. შპს „დიანასთან“ გაფორმებული ხელშეკრულება	18
14. შპს „არქთრეიდთან“ გაფორმებული ხელშეკრულება	19
15. შპს „მედია პორტთან“ გაფორმებული ხელშეკრულება	20
16. ბიუროს შემოსავლები	21
17. პირობითი მოსაზრება კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ	22

დასკვნა სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა საჯარო სამართლის იურიდიული პირის აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ გაწეული საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი, რომელმაც მოიცვა 2013 წლის 1 იანვრიდან 2015 წლის 1 იანვრამდე პერიოდი. აუდიტის დროს შესწავლილი იქნა:

- ფინანსური ოპერაციების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობა.
- განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობა.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ბიუროს ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია უზრუნველყოს ორგანიზაციის საქმიანობის და ფინანსური ოპერაციების მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ასევე დანერგოს შიდა კონტროლის მექანიზმები, რომელიც უზრუნველყოფს ორგანიზაციის საქმიანობისა და ფინანსური ოპერაციების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახური პასუხისმგებელია აუდიტის საფუძველზე გასცეს დასკვნა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ განხორციელებული ფინანსური ოპერაციების და სახელმწიფო შესყიდვების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ. შესაბამისობის აუდიტი წარმოადგენს უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI 4100) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორების მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნას გონივრული რწმუნება იმის შესახებ, ბიუროს საქმიანობა და ფინანსური ოპერაციები ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით შეესაბამება თუ არა მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად აუდიტორული დასკვნის გამყარების მიზნით. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს არსებითი რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ჩვენს მიერ განხორციელებული აუდიტორული პროცედურები შესაფერისია არსებული გარემოებისთვის.

აუდიტორული მოსაზრების საფუძვლები შესაბამისობის შესახებ

შპს „ანაგთან“ გაფორმებული ხელშეკრულება N213

2012 წლის 2 აგვისტოს სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროსა და შპს „ანაგს“ შორის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გაფორმდა ხელშეკრულება N213 ღირებულებით 1,452.1 ათასი ლარი. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა ქ. ლაზიკის იუსტიციის სახლის გათბობის, ვენტილაციის, წყალგაყვანილობის, სახანძრო, ელექტრობისა და სუსტი დენების მოწყობის სამუშაოები. ხელშეკრულების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით გაფორმების საფუძველს წარმოადგენდა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი, რომლის შესაბამისადაც 2012 წლის 18 იანვარს გამოიცა საქართველოს მთავრობის N74 განკარგულება. განკარგულების მიხედვით 2012 წლის განმავლობაში ცალკეული ობიექტების შესყიდვასთან დაკავშირებით (მათ შორის იუსტიციის სახლების) ნება დაერთოთ შემსყიდველ ორგანიზაციებს შესყიდვები განეხორციელებინათ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით. საქართველოს მთავრობის 2012 წლის 5 აპრილის N585 განკარგულებით ზემოაღნიშნულ განკარგულებაში (N74) შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და მისი მმართველობის სფეროში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს (მათ შორის აღსრულების ეროვნულ ბიუროს) მიეცათ უფლება იუსტიციის სახლებთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვები განეხორციელებინათ სააგანსო თანხებთან დაკავშირებული საბანკო გარანტიების გარეშე.

ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით (N041725-2012/03/1, გასვლის თარიღი 11.11.2012) ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 1,012.2 ათასი ლარი (ნაცვლად ფორმა N2-ში ნაჩვენები 1,232.9 ათასი ლარისა). სხვაობის (220.7 ათასი ლარი) შესაბამისი სამუშაოები ჩათვლილი არ იქნა იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ დასრულებული არ იყო, ხოლო მასალები ინახებოდა ქ. ლაზიკის იუსტიციის სახლის ტერიტორიაზე. სამუშაოები მთლიანად შესრულებული იქნა ქვეკონტრაქტორის შპს „ჯესკო ჯგუფის“ მიერ.

ექსპერტიზის დასკვნაზე თანდართული ფორმა N2-ის (რომლის მიხედვითაც განხორციელებულია ანგარიშსწორება) შემოწმებით გამოვლინდა, რომ ლოკალური ხარჯთაღრიცხვის N 1-2 (გათბობა, კონდიციონერება და ვენტილაცია - ჯამური ღირებულებით 432.6 ათასი ლარი დღგ-ს ჩათვლით) რიგით პირველ განყოფილებაში (მოდინებით გამწოვი სავენტილაციო სისტემა) პირდაპირი ხარჯების სხვადასხვა პოზიციების ღირებულებების დაჯამებაში ადგილი აქვს არითმეტიკულ შეუსაბამობას. კერძოდ, ნაცვლად ნაჩვენები ჯამური ოდენობისა 73.4 ათასი ლარი, უნდა იყოს 41.0 ათასი ლარი (იხილე დანართი). სხვაობა დანარიცხების გარეშე შეადგენს 32.4 ათას ლარს. მათ შორის სხვაობა მასალების ღირებულებაში - 28.5 ათასი ლარი, შრომის ანაზღაურება - 12.5 ათასი ლარი. დანარიცხების გათვალისწინებით

(სატრანსპორტო ხარჯები მასალებიდან - 4%, ზედნადები ხარჯები - 8%, მოგება - 6%, დღგ - 18%) სხვაობა შეადგენს 45.3 ათას ლარს¹, რითაც გაზრდილია სამუშაოების ღირებულება.

შპს „ჯესკო ჯგუფის“ მიერ წარმოდგენილი დანადგარების შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტებით გაირკვა, რომ ლოკალურ ხარჯთაღრიცხვაში N 1-1 (დანადგარები) პირდაპირი ხარჯების მე-5 პოზიციაში მითითებული აკუმულატორის (კარადით) ღირებულება ჩადებული არ არის ფაქტობრივი ხარჯის მიხედვით, ასევე არამწარმოებლებისგან შესყიდული დიზელ-გენერატორის და სტაბილიზატორის ღირებულებებს დარიცხული აქვს მოგება, რითაც დარღვეულია კანონმდებლობის მოთხოვნები². კერძოდ, წარმოდგენილი ინვოისებით და საბაჟო დეკლარაციით (C50987, 25.09.2012) გაირკვა, რომ აკუმულატორის (კარადით) დაახლოებითმა თვითღირებულებამ შეადგინა 11.9 ათასი ლარი დღგ-ს გარეშე³, ნაცვლად ფორმა N2-ში მითითებული 29.1 ათასი ლარისა. სხვაობა შეადგენს 17.2 ათას ლარს. დიზელ-გენერატორი შპს „ჯესკო ჯგუფს“ შეძენილი აქვს შპს „ახალი მთვარისგან“ 59.3 ათას ლარად დღგ-ს გარეშე (ა/ფ ეა-01 5735157, 08.09.2012), ხოლო სტაბილიზატორი შეძენილი აქვს შპს „ჯითიეს ელექტრონიკისგან“ 21.1 ათას ლარად დღგ-ს გარეშე (ა/ფ ეა-01 5746464, 10.09.2012). შესაბამისად სამუშაოების ღირებულება გაზრდილია 28.0 ათასი ლარით⁴.

ზემოაღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში სამუშაოების ღირებულება გაზრდილია სულ 73.3 ათასი ლარით (45.3+28.0).

შპს „ანაგთან“ გაფორმებული ხელშეკრულება N134

2012 წლის 16 მაისს სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროსა და შპს „ანაგს“ შორის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გაფორმდა ხელშეკრულება N134 ღირებულებით 7,871.6 ათასი ლარი. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა ქ. ლაზიკის იუსტიციის სახლის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები. ხელშეკრულების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით გაფორმების საფუძველს წარმოადგენდა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი, რომლის შესაბამისადაც 2012 წლის 18 იანვარს გამოიცა საქართველოს მთავრობის N74 განკარგულება. ექსპერტიზის დასკვნების მიხედვით ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 7,231.3 ათასი ლარი. სამუშაოები ჩაბარდა სამ ეტაპად: 1. ა/ფ ეა-01 4943963 ღირებულებით 1,468.3 ათასი ლარი, ექსპერტიზის დასკვნა N021694-2012/03/1, გასვლის თარიღი 04.07.2012 - თანდართული ხარჯთაღრიცხვით; 2. ა/ფ ეა-01 6258612 ღირებულებით 972.8 ათასი ლარი, ექსპერტიზის დასკვნა N032245-2012/03/1, გასვლის თარიღი 17.09.2012 - თანდართული ხარჯთაღრიცხვით; 3. ა/ფ ეა-01 7137916 ღირებულებით 4,790.2 ათასი ლარი, ექსპერტიზის დასკვნა N040076-2012/03/1, გასვლის თარიღი 14.11.2012 - თანდართული ხარჯთაღრიცხვით.

¹ $(32.4+28.5*0.04)*1.08*1.06*1.18$

² საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 12 ივლისის N1463 ბრძანებით დამტკიცებული „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის“ მე-2 პუნქტის და მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით.

³ $10.3 (40 \text{ ცალი აკუმულატორი}) + 1.2 (\text{კარადა}) + 0.1 (\text{იმპორტის გადასახადი}) + 0.3 (\text{RS მომსახურება})$

⁴ $17.2*1.04*1.06*1.18 + (59.3+21.1)*0.06*1.18$, სადაც 4% - სატრანსპორტო ხარჯი, 6% - მოგება, 18% - დღგ.

ხარჯთაღრიცხვების (ფორმა N2) შემოწმებით გაირკვა, რომ მანქანა-მექანიზმების ქირავნობის ღირებულებებზე ზედნადები ხარჯები და მოგება დარიცხულია კანონმდებლობის მოთხოვნის⁵ დარღვევით, რომლის მიხედვითაც სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული შესყიდვის დროს სამუშაოების შემსრულებელი კომპანიის მიერ დაქირავებული სამშენებლო მანქანა-მექანიზმებისა და ინვენტარის ქირავნობის ღირებულება შესრულებული სამუშაოების აქტში გათვალისწინებული უნდა იყოს ზედნადები ხარჯების და გეგმური მოგების დარიცხვის გარეშე. კერძოდ:

- ანგარიშ-ფაქტურაზე ეა-01 6258612 (ღირებულებით 972.8 ათასი ლარი) თანდართულ ხარჯთაღრიცხვაში (ექსპერტიზის დასკვნა N032245-2012/03/1) მითითებულია ლითონკონსტრუქციების მონტაჟის სამუშაოები, რომელზეც გამოყენებულია სხვადასხვა სახის დაქირავებული მანქანა-მექანიზმები. ქირავნობის ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 448.5 ათასი ლარი დღგ-ს გარეშე. აღნიშნულ ღირებულებაზე დარიცხულია ჯერ ზედნადები ხარჯები 8%-ის ოდენობით, ხოლო შემდეგ მოგება 8%-ის ოდენობით, რის შედეგადაც ზედმეტად დარიცხულმა თანხამ შეადგინა 74.6 ათასი ლარი დღგ-ს გარეშე. დღგ-ს ჩათვლით ზედმეტად დარიცხულია 88.1 ათასი ლარი⁶.

- ანგარიშ-ფაქტურაზე ეა-01 7137916 (ღირებულებით 4,790.3 ათასი ლარი) თანდართულ ხარჯთაღრიცხვაში (ექსპერტიზის დასკვნა N040076-2012/03/1) მითითებულია გამოყენებული მანქანა-მექანიზმები, რომელთა ქირავნობის ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 251.0 ათასი ლარი დღგ-ს გარეშე. აღნიშნულ ღირებულებაზე დარიცხულია ჯერ ზედნადები ხარჯები 10%-ის ოდენობით, ხოლო შემდეგ მოგება 8%-ის ოდენობით, რის შედეგადაც ზედმეტად დარიცხულმა თანხამ შეადგინა 47.2 ათასი ლარი დღგ-ს გარეშე. დღგ-ს ჩათვლით ზედმეტად დარიცხულია 55.7 ათასი ლარი⁷.

ზემოაღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში სულ ზედმეტად დარიცხულია 143.7 ათასი ლარი (88.1+55.7).

აღსანიშნავია ასევე, რომ ა/ფ-ზე ეა-01 4943963 თანდართულ ფორმა N2-ის (ექსპერტის დასკვნა N021694-2012/03/1, 04.04.2012წ.) მე-2 პოზიციაში მითითებულია 1376.4 გრძივი მეტრი (62 ცალი, D=800მმ) ხიმიწვების მოწყობის სამუშაოები ჯამური ღირებულებით 673.3 ათასი ლარი დანარიცხების გარეშე (ერთი გრძივი მეტრი - 489 ლარი დანარიცხების გარეშე), რომელიც არ არის ჩაშლილი მასალების, შრომის ანაზღაურების და მანქანა-მექანიზმების მიხედვით. შესაბამისად ვერ იქნა მიღებული რწმუნება სამუშაოების რეალურ საბაზრო ღირებულებასთან დაკავშირებით. აღნიშნული სამუშაოები შეასრულა ქვეკონტრაქტორმა (შპს „სამშენებლო-კომერციული კორპორაცია ხიდი“) დამკვეთის ბეტონით და არმატურით. შპს „ანაგსა“ და შპს „სამშენებლო-კომერციული კორპორაცია ხიდს“ შორის გაფორმებული 2012 წლის 21 მარტის ნარდობის ხელშეკრულების (უნომრო) და ა/ფ ეა-01 4100889 მიხედვით ერთი გრძივი მეტრი

⁵ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 12 ივლისის N1463 ბრძანებით დამტკიცებული „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის“ მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მოთხოვნა.

⁶ $[448.5 \cdot 0.08 + (448.5 + 448.5 \cdot 0.08) \cdot 0.08] \cdot 1.18$

⁷ $[251.0 \cdot 0.1 + (251.0 + 251.0 \cdot 0.1) \cdot 0.08] \cdot 1.18$

სამუშაოების შესრულებისთვის ქვეკონტრაქტორისთვის გადახდილია დღგ-ს ჩათვლით 360 ლარი (ბეტონის და არმატურის ღირებულების გარეშე).

შედარებისთვის, ბიუროსა და შპს „ნიუ კონსტრაქშენს“ შორის გაფორმებული 2012 წლის 14 თებერვლის N53 ხელშეკრულების ფარგლებში (ქ. თბილისის იუსტიციის სახლის ავტოსადგომის მოწყობის სამუშაოები) ასევე შესრულებულია ხიმინჯების მოწყობის სამუშაოები ორ ეტაპად: 5156.4 გრძივი მეტრი ღირებულებით 1,671.9 ათასი ლარი დანარიცხების გარეშე (ა/გ ეა-05 4549267, ექსპერტის დასკვნა N015546-2012/03/1, 17.05.2012წ. თანდართული ხარჯთაღრიცხვით) და 2101.0 გრძივი მეტრი ღირებულებით 705.9 ათასი ლარი დანარიცხების გარეშე (ა/გ ეა-05 4729383, ექსპერტის დასკვნა N017012-2012/03/1, 29.05.2012წ. თანდართული ხარჯთაღრიცხვით). ჯამურად შესრულებულია 7257.4 გრძივი მეტრი ხიმინჯების მოწყობის სამუშაოები ღირებულებით 2,377.8 ათასი ლარი დანარიცხების გარეშე. ერთი გრძივი მეტრის ღირებულებამ შეადგინა 327 ლარი (ბეტონის და არმატურის ღირებულების ჩათვლით) დანარიცხების გარეშე, რაც ბევრად ნაკლებია შპს „ანაგის“ მიერ წარმოდგენილ ფასთან შედარებით.

შპს „აგრომშენსერვისთან“ გაფორმებული ხელშეკრულება

2013 წლის 9 აგვისტოს სსიპ აღსრულების ეროვნულმა ბიურომ გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი (SPA130017411) ქ. თბილისის იუსტიციის სახლის ავტოსადგომის მოპირკეთების სამუშაოების შესყიდვაზე (შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 1,003.7 ათასი ლარი). პასუხისმგებელი პირების განმარტებით შესყიდვის სავარაუდო ღირებულება განისაზღვრა შპს „თბილქალაქპროექტის“ მიერ შედგენილი საპროექტო ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად, რომლის დამკვეთს წარმოადგენდა საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. ბიუროს მიერ წარმოდგენილი იქნა მხოლოდ ხარჯთაღრიცხვის ელექტრონული ვერსია. ტენდერში მონაწილეობა მიიღო ერთმა პრეტენდენტმა - შპს „აგრომშენსერვისმა“, რომელმაც გაიმარჯვა სატენდერო წინადადების ღირებულებით 989.0 ათასი ლარი. 2013 წლის 6 სექტემბერს ბიუროსა და შპს „აგრომშენსერვისს“ შორის ზემოაღნიშნული სამუშაოების შესყიდვის მიზნით გაფორმდა ხელშეკრულება N117 ღირებულებით 989.0 ათასი ლარი. ექვს ეტაპად წარდგენილი ანგარიშ-ფაქტურების და მიღება-ჩაბარების აქტების (ფორმა N2-ების) მიხედვით სამუშაოების ფაქტობრივმა ღირებულებამ შეადგინა 987.1 ათასი ლარი⁸.

მიღება-ჩაბარების აქტების (ფორმა N2-ების) შემოწმებით გამოვლინდა, რომ ცემენტ-ქვიშის ხსნარით მოჭიმვის (M200 h=30-40მმ) და არმირებული მოჭიმვის (h=50მმ M200) სამუშაოებზე მითითებული შრომის ანაზღაურების ერთეულის ღირებულებები მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა საპროექტო ხარჯთაღრიცხვის მონაცემებისგან. კერძოდ, საპროექტო ხარჯთაღრიცხვაში ორივე სახის სამუშაოებზე ერთი კაც/საათის ღირებულებად მითითებულია 3.5 ლარი, რაც შეესაბამება მშენებლობის შემფასებელთა კავშირის ცნობარის მონაცემებს

⁸ ა/გ ეა-06 4310766-17.10.2013წ. ექსპერტის დასკვნა N004609313-15.10.2013წ; ა/გ ეა-02 2392014-07.11.2013წ. ექსპერტის დასკვნა N004988113-05.11.2013წ; ა/გ ეა-02 2907762-28.11.2013წ. ექსპერტის დასკვნა N005327113-25.11.2013წ; ა/გ ეა-02 3157932-06.12.2013წ. ექსპერტის დასკვნის კორექტირება, წერილი N5004969113-28.11.2013წ; ა/გ ეა-02 3261088-10.12.2013წ. ექსპერტის დასკვნა N005561113-09.12.2013წ; ა/გ ეა-02 3651588-27.12.2013წ. ექსპერტის დასკვნა N005819813-24.12.2013წ.

(რომელიც პრაქტიკაში გამოყენებად არანორმატიულ დოკუმენტს წარმოადგენს). მიღება-ჩაბარების აქტებში (ფორმა N2-ებში) კი ცემენტ-ქვიშის ხსნარით მოჭიმვის სამუშაოებზე ერთი კაც/საათის ღირებულებად მითითებულია 24.0 ლარი, ხოლო არმირებული მოჭიმვის სამუშაოებზე 50.0 ლარი.

მიღება-ჩაბარების აქტების (ფორმა N2-ების) მიხედვით ცემენტ-ქვიშის ხსნარით მოჭიმვის სამუშაოების მოცულობამ შეადგინა სულ 11282 მ³, რომელზეც ნორმების მიხედვით (СНиП IV-2-82, 12-10-1,2) გახარჯულად არის ნაჩვენები ჯამურად 1771 კაც/საათი. ხოლო არმირებული მოჭიმვის სამუშაოების მოცულობამ შეადგინა სულ 551.66 მ³, რომელზეც ნორმების მიხედვით (СНиП IV-2-82, 6-1-17) გახარჯულად არის ნაჩვენები ჯამურად 1335 კაც/საათი. თუ ვიანგარიშებთ ერთი კაც/საათის მაქსიმალური საბაზრო ფასის მიხედვით (7.81 ლარი), ცემენტ-ქვიშის ხსნარით მოჭიმვის სამუშაოებზე სხვაობა ფორმა N2-ებში დაფიქსირებულ მონაცემებთან მიმართებით ერთი კაც/საათის ღირებულებაში შეადგენს 16.19 ლარს (24.0-7.81), ხოლო არმირებული მოჭიმვის სამუშაოებზე - 42.19 ლარს (50.0-7.81). სულ ზემოთ აღნიშნული მოცულობების შესაბამისად სხვაობა დანარიცხების გარეშე შეადგენს 85.0 ათას ლარს⁹. სხვაობა დანარიცხების ჩათვლით (ზედნადები ხარჯები -10%, მოგება -8% და დღგ - 18%) შეადგენს 119.2 ათას ლარს (დეტალური გაანგარიშება იხილეთ დანართში ელექტრონული სახით). საპროექტო მონაცემის მიხედვით გაანგარიშებით (3.5 ლარი/კაცსაათი) კი სხვაობა დანარიცხების ჩათვლით შეადგენს 137.9 ათას ლარს¹⁰.

საპროექტო ხარჯთაღრიცხვის განმარტებით ბარათში აღნიშნულია, რომ სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია წარმოადგენს მშენებლობის წინასწარ ღირებულებას და არ წარმოადგენს დამკვეთსა და მოიჯარეს შორის გადახდის საშუალებას. ანგარიშსწორება უნდა მომხდარიყო ფაქტობრივი დანახარჯების მიხედვით. აღსანიშნავია, რომ საპროექტო ხარჯთაღრიცხვაში რიგი პოზიციების ერთეულის ღირებულებები აღემატება ფორმა N2-ებში მითითებულ ერთეულების ფაქტობრივ ღირებულებებს. მაგალითად, საპროექტო ხარჯთაღრიცხვაში 1 ტონა ნავთობის ბიტუმის ღირებულებად მითითებულია 1195 ლარი დღგ-ს გარეშე, 1მ³ ღორღი - 20 ლარი დღგ-ს გარეშე და ა.შ. ფორმა N2-ებში მითითებული შესაბამისი ღირებულებები კი შეადგენს შესაბამისად 655 და 12.7 ლარს დღგ-ს გარეშე. შპს „აგრომშენსერვისის“ 2015 წლის 6 ნოემბრის N195 წერილის მიხედვით კი ირკვევა, რომ კომპანიას ობიექტზე ნავთობის ბიტუმის საერთოდ არ გამოუყენებია და მის მაგივრად გამოყენებული აქვს ბიკროსტი, ლინოკრომი და პრაიმერი, მიუხედავად იმისა, რომ მიღება-ჩაბარების აქტებში (ფორმა N2-ებში) ნაჩვენები აქვს ნავთობის ბიტუმი. ხოლო წარმოდგენილი შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტების მიხედვით კი ღორღის ფაქტობრივმა ღირებულებამ შეადგინა 12.29 ლარი დღგ-ს გარეშე¹¹. ზემოაღნიშნული სახის შეუსაბამობებმა განაპირობა ის გარემოება, რომ მიმწოდებელს მიეცა საშუალება ცემენტ-ქვიშის ხსნარით მოჭიმვის და არმირებული მოჭიმვის სამუშაოებზე დაუსაბუთებლად გაეზარდა კაც/საათების ღირებულება ისე, რომ ობიექტის ჯამური ღირებულება არ გაცდენოდა მის მიერ შეთავაზებულ სატენდერო წინადადების ღირებულებას.

⁹ 1771*16.19+1335*42.19

¹⁰ [1771*(24.0-3.5)+1335*(50.0-3.5)]*1.1*1.08*1.18

¹¹ ა/ფ ე-06 4477972, 26.10.2013წ. და ა/ფ ე-06 3800848, 25.09.2013წ.

შპს „ანაგი თბილისთან“ გაფორმებული ხელშეკრულება N232

2012 წლის 23 აგვისტოს სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროსა და შპს „ანაგი თბილისს“ შორის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გაფორმდა ხელშეკრულება N232 ღირებულებით 1,049.2 ათასი ლარი. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა ქ. თბილისის იუსტიციის სახლის შიდა მოპირკეთების სამუშაოები. ხელშეკრულების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით გაფორმების საფუძველს წარმოადგენდა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი, რომლის შესაბამისადაც 2012 წლის 18 იანვარს გამოიცა საქართველოს მთავრობის N74 განკარგულება. 2012 წლის 5 ოქტომბრის N2 შეთანხმებით ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილების შესაბამისად სახელშეკრულებო ღირებულება განისაზღვრა 891.0 ათასი ლარით. ექსპერტიზის დასკვნის (N002083614, გასვლის თარიღი 29.04.2014) მიხედვით შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 889.2 ათასი ლარი.

მიღება-ჩაბარების აქტების (ფორმა N2) შემოწმებით გაირკვა, რომ ცალკეული მასალების ღირებულებები ფაქტობრივ ხარჯებთან შედარებით გაზრდილად იყო წამოდგენილი, რაც არ შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნას¹². კერძოდ:

1მ³ ბეტონის ფასი ტრანსპორტირების და „პომპის“ ღირებულების ჩათვლით ფორმა N2-ში მითითებულია 137.84 ლარის ოდენობით (122.84+10+5) დღგ-ს გარეშე. სულ 377.81მ³-ის ღირებულება - 52.1 ათასი ლარი დღგ-ს გარეშე. წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურების¹³ მიხედვით ბეტონის ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 43.9 ათასი ლარი დღგ-ს გარეშე. სხვაობა შეადგენს 8.2 ათას ლარს დანარიცხების გარეშე. დანარიცხების გათვალისწინებით (ზედნადები ხარჯები - 10%, მოგება - 8%, დროებითი შენობა-ნაგებობები - 1%, დღგ - 18%) სხვაობა შეადგენს 11.6 ათას ლარს.

ერთი ტონა არმატურის ფასი ტრანსპორტირების ღირებულების ჩათვლით ფორმა N2-ში მითითებულია 1328.2 ლარის ოდენობით (1313.2+15) დღგ-ს გარეშე. სულ 33.19 ტონის ღირებულება - 44.1 ათასი ლარი დღგ-ს გარეშე. წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურების¹⁴ მიხედვით ბეტონის ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 41.2 ათასი ლარი დღგ-ს გარეშე. სხვაობა შეადგენს 2.9 ათას ლარს დანარიცხების გარეშე. დანარიცხების გათვალისწინებით (ზედნადები ხარჯები - 10%, მოგება - 8%, დროებითი შენობა-ნაგებობები - 1%, დღგ - 18%) სხვაობა შეადგენს 4.2 ათას ლარს.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ცალკეული ქვეკონტრაქტორის მიერ შესრულებული სამუშაოები შპს „ანაგი თბილისს“ ბიუროსადმი წარდგენილ ფორმა N2-ებში ჩადებული ჰქონდა გაზრდილი ოდენობით. კერძოდ:

პოლიმერული იატაკის მოწყობის სამუშაოების (რომელიც შეასრულა შპს „ოლ-პი ჯგუფმა“) ღირებულებამ შეადგინა 38.6 ათასი ლარი დღგ-ს ჩათვლით (ა/ფ ეა-05 7359529, 2012 წლის 8

¹² საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 12 ივლისის N1463 ბრძანებით დამტკიცებული „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის“ მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მოთხოვნა.

¹³ ა/ფ ეა-01 5678525, ეა-01 5866324, ეა-01 5865935, ეა-01 5901897, ეა-01 5917836, ეა-01 5934678, ეა-01 5950630.

¹⁴ ა/ფ ეა-01 5855225, ეა-01 5892339.

აგვისტოს უნომრო ხელშეკრულება), ფორმა N2-ის მიხედვით კი ღირებულებამ დანარიცხების ჩათვლით შეადგინა 50.3 ათასი ლარი. სხვაობა შეადგენს 11.7 ათას ლარს. დამკვეთსა (შპს „ანაგი თბილისი“) და მენარდეს (შპს „ოლ-პი ჯგუფი“) შორის გაფორმებული 2012 წლის 8 აგვისტოს ნარდობის ხელშეკრულების 2.2 პუნქტის მიხედვით მენარდეს სამუშაოები უნდა შეესრულებინა დამკვეთის მასალით. თუმცა ხელშეკრულებაზე თანდართული ხარჯთაღრიცხვის და სამუშაოს ფაქტობრივი ღირებულებიდან გამომდინარე აღნიშნული არ დასტურდება.

ფუნდერმაქსისის საპირფარეშოს კაბინის მოწყობის სამუშაოების (რომელიც შეასრულა შპს „მაგთივინმა“) ღირებულებამ შეადგინა 41.1 ათასი ლარი დღგ-ს ჩათვლით (ა/ფ ეა-01 6035120, 2012 წლის 17 აგვისტოს უნომრო ხელშეკრულება), ფორმა N2-ის მიხედვით კი ღირებულებამ დანარიცხების ჩათვლით შეადგინა 49.3 ათასი ლარი. სხვაობა შეადგენს 8.2 ათას ლარს.

ზემოაღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში სულ სხვაობების ჯამმა შეადგინა 35.7 ათასი ლარი.

შპს „ნიუ კონსტრაქშენთან“ გაფორმებული ხელშეკრულება

2012 წლის 4 იანვარს ბიურომ გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი (SPA120000178) შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 10,800.0 ათასი ლარი. შესყიდვის ობიექტს წარმოადგენდა ქ. თბილისის იუსტიციის სახლის ტერიტორიაზე ავტოსადგომის მოწყობის სამუშაოები. ტენდერში მონაწილეობა მიიღო სამმა პრეტენდენტმა - შპს „ანაგმა“, შპს „ბილდ ინდუსტრიმ“ და შპს „ნიუ კონსტრაქშენმა“. საუკეთესო სატენდერო წინადადების ფასით გაიმარჯვა შპს „ნიუ კონსტრაქშენმა“, რომელთანაც 2012 წლის 14 თებერვალს გაფორმდა ხელშეკრულება N53 ღირებულებით 9,650.0 ათასი ლარი. 2012 წლის 8 მაისის შეთანხმების საფუძველზე ხელშეკრულებაში განხორციელებული პირველი ცვლილებით სახელშეკრულებო ღირებულება გაიზარდა 9,773.0 ათას ლარამდე. აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 9,753.6 ათასი ლარი.

გარდა ამისა საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 ოქტომბრის N1491 განკარგულებით ზემოაღნიშნული ობიექტის სამუშაოების შესასყიდად სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს უფლება მიეცა საკუთარი შემოსავლებიდან დამატებით გამოეყო 230.1 ათასი ლარი და შესრულებული სამუშაოების ღირებულების ანაზღაურების მიზნით გაეფორმებინა შეთანხმება შპს „ნიუ კონსტრაქშენთან“ (შეთანხმება გაფორმდა 2013 წლის 4 ნოემბერს).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ფაქტობრივად შპს „ნიუ კონსტრაქშენის“ მიერ შესრულებულად არის ჩათვლილი სულ 9,983.7 ათასი ლარის სამუშაოები. სამუშაოების შესრულება წარმოდგენილია 19 ეტაპად ანგარიშ-ფაქტურების, მიღება-ჩაბარების აქტებისა (ფორმა N2) და თანდართული ექსპერტის დასკვნების შესაბამისად.

მიღება-ჩაბარების აქტების (ფორმა N2) შემოწმებით გაირკვა, რომ შპს „ნიუ კონსტრაქშენის“ მიერ წარდგენილ 2012 წლის 28 ნოემბრის ანგარიშ-ფაქტურაზე (ეა-05 7977234) თანდართულ ხარჯთაღრიცხვაში (ექსპერტის დასკვნა N010036812, გასვლის თარიღი 15.11.2012წ.) პოზიციების დაჯამებაში (N1-დან N53-ის ჩათვლით) ადგილი აქვს არითმეტიკულ შეუსაბამობას. კერძოდ, ჯამური თანხა მითითებულია 783.4 ათასი ლარის ოდენობით, ნაცვლად 628.8 ათასი ლარისა

(იხილე დანართი). სხვაობა დანარიცხების გარეშე შეადგენს 154.6 ათას ლარს (783.4-628.8). დანარიცხების გათვალისწინებით (ზედნადები ხარჯები - 3%, მოგება - 4%, დღგ - 18%) სხვაობა შეადგენს 195.4 ათას ლარს¹⁵, რითაც გაზრდილია სამუშაოების ღირებულება.

გარდა ამისა, ფორმა N2-ების სხვადასხვა პოზიციებში დაფიქსირებული მასალების ღირებულებების, ასევე ქვეკონტრაქტორების მიერ შესრულებული სამუშაოების ღირებულებების რეალობის გარკვევის მიზნით კანონმდებლობის¹⁶ შესაბამისად შპს „ნიუ კონსტრაქშენისგან“ მოთხოვნილი იქნა შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტები. კანონმდებლობის უგულებელყოფით დოკუმენტები წარმოდგენილი არ იქნა. აღვნიშნავთ აუდიტის მასშტაბის შეზღუდვას.

ფინანსური აქტივები, მოთხოვნები და ვალდებულებები

აუდიტის პერიოდის დასაწყისისთვის - 2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ბიუროს საბალანსო ანგარიშებზე N1210 და N1220 (მიმდინარე ანგარიშები ბანკში) ერიცხებოდა ნაშთი ჯამურად 4,277.3 ათასი ლარის ოდენობით. 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ნაშთმა შეადგინა 26,565.5 ათასი ლარი, ხოლო 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით - 16,089.5 ათასი ლარი. აღნიშნულ ანგარიშებზე განთავსებული იყო ბიუროს საკუთარი შემოსავლები.

საბალანსო ანგარიშზე N1230 (სადეპოზიტო ანგარიში ბანკში) 2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ირიცხებოდა ნაშთი 162,843.1 ათასი ლარის ოდენობით, 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით - 123,718.3 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით - 111,364.2 ათასი ლარის ოდენობით. აღნიშნული წარმოადგენდა ბიუროს საქმიანობის ფარგლებში ვალდებულებების სახით მობილიზებულ თანხებს (გირაოს სახით შეტანილ თანხებს, აღსასრულებელ საქმეებთან დაკავშირებულ კრედიტორების კუთვნილ თანხებს და სხვა).

საბალანსო ანგარიშზე N1356 (გადახდილი დღგ) 2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ირიცხებოდა ნაშთი 6,457.7 ათასი ლარის ოდენობით, 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით - 5,406.3 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით - 4,350.3 ათასი ლარის ოდენობით. პასუხისმგებელი პირების განმარტებით აღნიშნული საგადასახადო აქტივის წარმოშობის მიზეზს წარმოადგენს ის გარემოება, რომ სახელმწიფო შესყიდვების მიზნით 2012 წლის განმავლობაში მიმდინარე შემოსავლებთან ერთად გამოყენებული იქნა წლის დასაწყისში არსებული დიდი ოდენობის ფულადი სახსრების ნაშთი. აუდიტის მასშტაბის შეზღუდვის გამო¹⁷ ვერ იქნა მიღებული რწმუნება აღნიშნული ანგარიშის საწყისი ნაშთის სისწორესთან დაკავშირებით.

საბალანსო ანგარიშზე N1432 (მოთხოვნები აქტივების მიღებაზე წინასწარი გადახდებით) 2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ირიცხებოდა ნაშთი 2,930.6 ათასი ლარის ოდენობით, 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით - 1,469.9 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით - 712.6 ათასი ლარის ოდენობით. აღნიშნული დავალიანების წარმოშობის

¹⁵ 154.6*1.03*1.04*1.18

¹⁶ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 22¹-ე მუხლის შესაბამისად.

¹⁷ საჭიროებს საგადასახადო შემოწმებას, რაც სცილდება აუდიტის ჯგუფის კომპეტენციას.

ძირითადი მიზეზია სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით საავანსო თანხების გადახდა. შემოწმებით გაირკვა, რომ აღნიშნულ ანგარიშზე ნაშთი 2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 568.0 ათასი ლარით შემცირებულად არის წარმოდგენილი. ნაშთის არასწორად წარმოდგენის მიზეზი განაპირობა შპს „ნიუ კონსტრუქშენტთან“ გაფორმებული 2012 წლის 14 თებერვლის N53 ხელშეკრულების ფარგლებში (ქ. თბილისის იუსტიციის სახლის ტერიტორიის ავტოსადგომის მოწყობის სამუშაოები) მიმწოდებლის მიერ წარდგენილი ორი ანგარიშ-ფაქტურის ბუღალტრული აღრიცხვის განხორციელებისას დროში არასწორად გამოიჯნა. კერძოდ, 2013 წლის 6 თებერვლის ანგარიშ-ფაქტურები ეა-05 9230367 თანხით 165.9 ათასი ლარი და ეა-05 9230369 თანხით 402.1 ათასი ლარი ბუღალტრულად გატარებულია 2012 წელს ნაცვლად 2013 წლისა. შესაბამისად 2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ზემოაღნიშნული მომწოდებლის მიმართ დებიტორული დავალიანება შეადგენდა 2,377.0 ათას ლარს, ნაცვლად დაფიქსირებული 1,809.0 ათასი ლარისა.

საბალანსო ანგარიშზე N3100 (მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებები) 2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ირიცხებოდა ნაშთი 162,796.8 ათასი ლარის ოდენობით, 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით - 123,648.3 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით - 111,364.2 ათასი ლარის ოდენობით. აღნიშნული წარმოადგენს სადეპოზიტო ანგარიშზე შეტანილ თანხებთან დაკავშირებით წარმოშობილ ვალდებულებებს.

საბალანსო ანგარიშზე N5210 (საანგარიშო პერიოდის მოგება/ზარალი) 2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ირიცხებოდა ნაშთი 75,786.2 ათასი ლარის ოდენობით, 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით - 93,223.6 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით - 59,024.2 ათასი ლარის ოდენობით. აღნიშნული ნაშთები არასწორად არის მიკუთვნებული N5210 ანგარიშზე. ნაშთები უნდა ირიცხებოდეს საბალანსო ანგარიშზე N5220 (გაუნაწილებელი მოგება), ხოლო საბალანსო ანგარიშზე N5210 წლის განმავლობაში უნდა ირიცხებოდეს მხოლოდ მოგება/ზარალთან დაკავშირებული მიმდინარე წლის ფინანსური მაჩვენებელი (რომელიც ასევე წლის ბოლოს გადატანილი უნდა იყოს N5220 ანგარიშზე)¹⁸.

არაფინანსური აქტივები

- ბიუროს მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი 2013 წლის ქონების, მოთხოვნების და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების დამადასტურებელი დოკუმენტები. ბიუროს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის 2014 წლის 21 ოქტომბრის N1108 ბრძანების შესაბამისად მატერიალურ ფასეულობათა აღწერისა და აღრიცხვის მიზნით შეიქმნა საინვენტარიზაციო კომისია, რომელსაც 2014 წლის 21 ოქტომბრიდან 31 დეკემბრამდე პერიოდში უნდა ჩატარებინა ინვენტარიზაცია. ვერ იქნა წარმოდგენილი შესაბამისი დუკუმენტები. ლოჯისტიკის სამსახურის პასუხისმგებელი პირების განმარტებით ინვენტარიზაცია

¹⁸ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის 42-ე მუხლის მე-6, მე-7 და მე-8 პუნქტების მიხედვით.

ფაქტობრივად ჩატარებულია, მაგრამ ოფიციალურად არ არის შედგენილი და დამტკიცებული ინვენტარიზაციის უწყისები. შესაბამისად დაცული არ არის კანონმდებლობის მოთხოვნა¹⁹.

- როგორც წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ირკვევა, 2013 წელს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ ბიუროს 2012 წლის საქმიანობის აუდიტის განხორციელებისას ჩატარებული შერჩევითი ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილი იქნა როგორც დანაკლისი, ასევე ზედმეტობა გარკვეულ აქტივებთან მიმართებით. ბიუროს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის მიერ მინისტრისადმი წარდგენილი ახსნა-განმარტების მიხედვით გამოვლენილი დანაკლისი (სულ 384 ერთეული საბალანსო ღირებულებით 110.8 ათასი ლარი) რეალურად განლაგებულია იუსტიციის სახლებში. 309 ერთეულის მიწოდება განხორციელდა საწყობიდან, ხოლო 75 ერთეულის მიწოდება განხორციელდა პირდაპირ. აღნიშნული აქტივები 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ბუღალტრულად ბალანსიდან არ იყო მოხსნილი და ერიცხებოდა ბიუროს. შესაბამისად ანგარიშები N2120 (მანქანა-დანადგარები და ინვენტარი) და N2200 (გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები) არასწორად არის წარმოდგენილი.

ზემოაღნიშნული ინვენტარიზაციით ასევე გამოვლინდა, რომ 2009 წლის 23 მარტს სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსგან გადმოეცა 40 ცალი მაკაროვის სისტემის იარაღი, რაზედაც შედგენილია უნომრო და უსათაურო უწყისი იარაღის ნომრების მითითებით, საბალანსო ღირებულების გარეშე. უწყისზე ხელმოწერით იარაღის მიღებას ადასტურებს აღსრულების პოლიციის სამმართველოს უფროსი. აღნიშნული იარაღი 2014 წლამდე არ იყო აღრიცხული ბიუროს ბალანსზე, რაც ეწინააღმდეგება კანონმდებლობის მოთხოვნას²⁰. ბიუროს შეფასების სამსახურის მიერ 2014 წლის 7 მარტის N22024 წერილზე თანდართული N01/02-1131 დასკვნის მიხედვით თითოეული პისტოლეტი შეფასდა 400 ლარად (სულ 16.0 ათას ლარად), რის შემდეგაც აღნიშნული იარაღი აყვანილია ბალანსზე. შედეგად ანგარიში N2122 (მანქანა-დანადგარები და ინვენტარი) არასწორად იყო წარმოდგენილი.

- ბიუროს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის 2013 წლის 29 იანვრის N75 ბრძანებით ზესტაფონის მულიციპალიტეტისათვის გადაცემულია 3 ცალი კარადა, ისტორიული ღირებულებით 861.6 ლარი (თითოეული 287.2 ლარი), რომელთა ნარჩენი ღირებულება შეადგენდა 516.96 ლარს (თითოეული 172.32 ლარი). გარდა ამისა, 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ბალანსზე ირიცხებოდა კიდევ 13 ერთეული ანალოგიური სახის კარადა ნარჩენი საბალანსო ღირებულებით 1,493.44 ლარი (ისტორიული ღირებულებით 3,733.6 ლარი). აღნიშნული კარადები კანონმდებლობის დარღვევით მიკუთვნებული იყო ძირითადი აქტივების კლასიფიკაციას (ანგარიშზე N2122). 500 ლარზე ნაკლები ღირებულების და ერთ წელზე მეტი ვადით გამოყენების მქონე აქტივები აღრიცხული უნდა ყოფილიყო ანგარიშზე

¹⁹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნების და ვალდებულებების ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის მოთხოვნა.

²⁰ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის 23-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნა.

N2200 გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების სახით²¹ და მათზე ცვეთა არ უნდა დარიცხულიყო.

- 2009 წელს სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროსა და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო სამმართველოს შორის გაფორმდა ხელშეკრულება N684 (23.01.2009) უსასყიდლო უზუფრუქტის თაობაზე, რის საფუძველზეც აღსრულების ბიუროს გადმოეცა შემდეგი ქონება: ქ. ქუთაისში მდებარე 347.09მ² არასაცხოვრებელი ფართი, რომელიც განთავსებული იყო 803მ² მიწის ნაკვეთზე. გადაცემული ქონების საბალანსო ღირებულებამ შეადგინა 132.9 ათასი ლარი. აღნიშნული ხელშეკრულება ბიუროს 2013 წლის 9 ივლისის N51287 წერილის საფუძველზე გაუქმებულია (სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2013 წლის 18 ივლისის N1/3-187 ბრძანება, 18.07.2013). ბიუროს მიერ ქონება ბალანსიდან მოხსნილი არ არის დროულად (მოხსნილია 2014 წელს), რის შედეგადაც 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საბალანსო ანგარიში N2112 (არასაცხოვრებელი შენობები) არასწორად არის წარმოდგენილი.

- სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროსა და შპს „აგრომშენსერვისის“ შორის 2011 წლის 26 აპრილს გაფორმდა ხელშეკრულება N97, ღირებულებით 292.0 ათასი ლარი. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა ბიუროს ადმინისტრაციული შენობის მარცხენა ფლიგელზე მეორე სართულის დაშენების და შიდა სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესრულება. აღნიშნული სამუშაოები სრულად დამთავრდა 2011 წლის აგვისტოში. მიუხედავად ამისა, დაუმთავრებელი ძირითადი აქტივის ანგარიშიდან (N2140) აქტივის ღირებულების ნაწილი (97.1 ათასი ლარი) 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით გადატანილი არ არის შენობა-ნაგებობების ანგარიშზე (N2112). აღნიშნული ეწინააღმდეგება კანონმდებლობის მოთხოვნას²².

შპს „ინტელექტთან“ გაფორმებული ხელშეკრულება

სხვადასხვა რეგიონული ოფისების და სასაბუღალტრო სარემონტო სამუშაოების შესყიდვის მიზნით 2014 წლის 28 ნოემბერს ბიურომ გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი (SPA140027701) შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 36.9 ათასი ლარი დღგ-ს გარეშე. ტენდერში მონაწილეობა მიიღო ორმა პრეტენდენტმა: ი/მ ქებულ აბაშიძემ და შპს „ინტელექტმა“. ი/მ ქებულ აბაშიძემ წარმოადგინა სატენდერო წინადადება ღირებულებით 28.8 ათასი ლარი დღგ-ს გარეშე, ხოლო შპს „ინტელექტმა“ წარმოადგინა სატენდერო წინადადება ღირებულებით 36.5 ათასი ლარი დღგ-ს გარეშე.

სატენდერო კომისიის 2015 წლის 9 იანვრის N3 სხდომის ოქმის მიხედვით ი/მ ქებულ აბაშიძე დისკვალიფიცირებული იქნა შემდეგი მოტივებით:

²¹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მე-2 მუხლის „ლ“ პუნქტის და 25-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით.

²² საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის 23-ე მუხლის მე-8 პუნქტის მოთხოვნა.

- წარმოდგენილ წნორის ოფისის სარემონტო სამუშაოების ლოკალურ ხარჯთაღრიცხვაში ცალკეულ პოზიციებზე (კერძოდ - „სპილენძის ძარღვიანი სადენის მონტაჟი კვეთით 3*2.5მმ“, „შრომის დანახარჯები“, „სხვა მანქანები“ და „სხვა მასალები“) რაოდენობები არ იყო შევსებული სატენდერო დოკუმენტაციაზე თანდართულ მოცულობათა უწყისის შესაბამისად.

- ქობულეთის ოფისის და სასადილოს ლოკალურ ხარჯთაღრიცხვებში დარიცხული ტრანსპორტირების ხარჯები (3%) არ იყო სწორად დათვლილი. კერძოდ, მითითებული იყო შესაბამისად 18.4 ლარი (ნაცვლად 18.37 ლარისა) და 38.9 ლარი (ნაცვლად 38.85 ლარისა).

როგორც შემოწმებით გაირკვა, სატენდერო დოკუმენტაციაზე თანდართულ წნორის ოფისის სარემონტო სამუშაოების მოცულობათა უწყისში სპილენძის სადენის მონტაჟის სამუშაოზე მითითებულია რაოდენობა „20 მეტრი“. აღნიშნული სამუშაოს „შრომის დანახარჯების“, „სხვა მანქანების“ და „სხვა მასალების“ პოზიციებში მითითებული იყო ერთეულზე ნორმატიული რაოდენობები (შესაბამისად 0.04, 0.0233 და 0.0019), ხოლო გრაფებში „სულ რაოდენობები“ სამივე პოზიციაში მითითებულია რიცხვი „0“, რაც არასწორია (მითითებული უნდა იყოს სამუშაოს მოცულობის და ერთეულზე ნორმატიული რაოდენობების ნამრავლები). ი/მ ქებულ აბაშიძის მიერ წარდგენილ ხარჯთაღრიცხვაში აღნიშნული უზუსტობა შესწორებული იქნა, რაც სატენდერო კომისიის მიერ მოცულობათა უწყისთან შეუსაბამოდ არ უნდა ჩათვლილიყო. შესაბამისად ზემოაღნიშნული ფაქტი არასწორად იქნა მიჩნეული დისკვალიფიკაციის საფუძველად.

სატენდერო კომისიის მიერ ასევე არასწორად იქნა მიჩნეული დისკვალიფიკაციის საფუძველად ის გარემოება, რომ ი/მ ქებულ აბაშიძის მიერ წარდგენილ ქობულეთის ოფისის და სასადილოს ლოკალურ ხარჯთაღრიცხვებში დარიცხული ტრანსპორტირების ხარჯები დამრგვალებული იყო თეთრებში ათეულებამდე²³, რაც ჯამურად 8 თეთრით (?) მეტს შეადგენდა.

შედეგად ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „ინტელექტი“, რომელთანაც 2015 წლის 23 იანვარს გაფორმდა ხელშეკრულება N48 ღირებულებით 43.1 ათასი ლარი დღგ-ს ჩათვლით (36.5 ათასი ლარი დღგ-ს გარეშე).

სატენდერო კომისიის მიერ სწორი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში არსებობდა შესაძლებლობა, რომ განხორციელებულიყო 9.1 ათასი ლარის ეკონომია [(36.5-28.8)*1.18].

შპს „ალგორითმთან“ გაფორმებული ხელშეკრულება

კონსოლიდირებულ ტენდერში (CON140000021) გამარჯვების საფუძველზე 160 ცალი სტანდარტული პერსონალური კომპიუტერის შესყიდვის მიზნით სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროსა და შპს „ალგორითმს“ შორის 2014 წლის 2 ივნისს გაფორმდა ხელშეკრულება N134 ღირებულებით 120.7 ათასი ლარი. სატენდერო კომისიის 2014 წლის 9 სექტემბრის N8 სხდომის ოქმის მიხედვით იმის გამო, რომ შპს „ალგორითმი“ ვერ ასრულებდა ტენდერში გამარჯვების საფუძველზე აღებულ ვალდებულებებს, შემსყიდველ ორგანიზაციებს მიეცათ რეკომენდაცია შეეწყვიტათ შპს „ალგორითმთან“ გაფორმებული ხელშეკრულებები. ამასთან ერთად

²³ სამშენებლო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვებში რიცხვების დამრგვალება არა მხოლოდ ათეულებამდე თეთრებში, არამედ ლარამდეც ჩვეულებრივ პრაქტიკას წარმოადგენს.

კანონმდებლობის შესაბამისად²⁴ მათ დაევალებათ მიმწოდებლისთვის დაეკისრებინათ საჯარიმო თანხის გადახდა სახელშეკრულებო თანხის 5%-ის ოდენობით.

ზემოაღნიშნული რეკომენდაციის შესრულების მიზნით ბიურომ 2015 წლის 29 ივნისის N57380 წერილით მიმართა შპს „ალგორითმს“ და დააკისრა პირგასამტეხლო 6.0 ათასი ლარის ოდენობით. მიუხედავად ამისა შპს „ალგორითმს“ 2015 წლის 1 დეკემბრის მდგომარეობით თანხა ჯერ კიდევ გადახდილი არ ჰქონდა.

მიზანშეუწონელია ბიუროს მხრიდან აღნიშნულ საკითხზე საკმაოდ დაგვიანებული რეაგირება (9 თვეზე მეტი პერიოდი). ამასთან ერთად ზემოაღნიშნული მოთხოვნა ბიუროს 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ბუღალტრულად არ ჰქონდა აღრიცხული (ანგარიშზე N1354 - მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლებით²⁵). ბუღალტრული აღრიცხვა განხორციელდა აუდიტის მიმდინარეობისას აუდიტის ჯგუფის რეკომენდაციით.

ზემოაღნიშნული გარემოებების გამო საქართველოს მთავრობის 2014 წლის 19 სექტემბრის N1693 განკარგულების საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციებს უფლება მიეცათ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შეეძინათ პერსონალური კომპიუტერები არაუმეტეს კონსოლიდირებული ტენდერის (CON140000021) საწყის სავაჭრო ფასად (780 ლარი). რის საფუძველზეც ბიურომ 2014 წლის 23 სექტემბერს 160 ცალი კომპიუტერის შეძენის მიზნით გააფორმა ხელშეკრულება N207 შპს „იუ-ჯი-თისთან“ ღირებულებით 123.7 ათასი ლარი (ცალი 773 ლარი).

შპს „პრიზმასთან“ გაფორმებული ხელშეკრულება

ქ. ფოთის იუსტიციის სახლის სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის მიზნით 2014 წლის 29 აგვისტოს ბიურომ გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი (SPA140020367) შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 3,127.0 ათასი ლარი. ტენდერში მონაწილეობა მიიღო ოთხმა პრეტენდენტმა. ვაჭრობის შედეგად ყველაზე დაბალი ფასის სატენდერო წინადადება წარადგინა შპს „კუნძულმა“ - 2,725.0 ათასი ლარი. მომდევნო დაბალი ფასის მქონე სატენდერო წინადადება წარადგინა შპს „პრიზმამ“ - 2,992.5 ათასი ლარი.

ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტების შემდეგ სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით (2014 წლის 30 ოქტომბრის სხდომის ოქმი უნომრო) შპს „კუნძული“ დისკვალიფიცირებული იქნა შემდეგი მოტივებით:

- სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილი იყო, რომ ელექტროსამონტაჟო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვაში სხვადასხვა პოზიციებში დაფიქსირებული დამხმარე მასალების ღირებულება არ ყოფილიყო 5%-ზე მეტი. სატენდერო კომისიამ ჩათვალა, რომ შპს „კუნძულის“

²⁴ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2013 წლის 7 მარტის N8 ბრძანებით დამტკიცებული „სტანდარტული პერსონალური და სტანდარტული პორტაბელური/სატარებელი კომპიუტერების კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესის და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად.

²⁵ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ ინსტრუქციის 25-ე მუხლის 34-ე პუნქტის მიხედვით.

მიერ ტექნიკური დოკუმენტაციით წარდგენილი ხარჯთაღრიცხვა ამ თვალსაზრისით არ შეესაბამებოდა სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილს.

- შპს „კუნძულმა“ ვერ წარმოადგინა ორი სარეკომენდაციო წერილი, რაც მოთხოვნილი იყო სატენდერო დოკუმენტაციით (წარმოდგენილი ორი ჩაითვადა ერთად, რადგან გაცემული იყო ერთი და იგივე ორგანიზაციის - ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მიერ. ამასთან ერთერთის ნამდვილობაში ეჭვი იქნა შეტანილი).

შედეგად ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „პრიზმა“, რომელთანაც 2014 წლის 17 ნოემბერს გაფორმდა ხელშეკრულება N263 ღირებულებით 2,992.5 ათასი ლარი.

როგორც ზემოაღნიშნული ხარჯთაღრიცხვის შემოწმებით გაირკვა, შპს „კუნძულის“ დისკვალიფიკაციის პირველი მოტივი (დამხმარე მასალების ღირებულების პროცენტული წილი) საფუძველს მოკლებული იყო შემდეგი გარემოებების გამო: სატენდერო დოკუმენტაციით (ელექტროსამონტაჟო სამუშაოების მოცულობათა უწყისით) მოთხოვნილი იყო დამხმარე მასალების ღირებულება - არაუმეტეს 5%. თუმცა არ იყო მითითებული, თუ როგორ უნდა გაანგარიშებულიყო პროცენტი - მასალების მთლიანი ღირებულებიდან (დამხმარე მასალების ჩათვლით) დამხმარე მასალების პროცენტული შემადგენლობის მიხედვით თუ მასალების ღირებულებაზე (დამხმარე მასალების გარეშე) დანარიცხის მიხედვით. პრეტენდენტის მიერ წარდგენილი ხარჯთაღრიცხვა პირველი კრიტერიუმის მიხედვით მოთხოვნას სრულად აკმაყოფილებდა, ხოლო მეორე კრიტერიუმის მიხედვით ცდომილებები შეადგენდა რამდენიმე ლარს. თუმცა ორივე შემთხვევაში გაუგებარია და ვერ იქნა ახსნილი თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა დამხმარე მასალების ღირებულების პროცენტულ შემადგენლობას და შესაბამისად სატენდერო დოკუმენტაციით ამ შეზღუდვის დაწესებას, თუ კი სატენდერო წინადადების ხარჯთაღრიცხვის ჯამური ღირებულება იქნებოდა მისაღები. კანონმდებლობის მიხედვით²⁶ სატენდერო წინადადების შეფასების კრიტერიუმს წარმოადგენს წინადადების ფასი, ანუ ხარჯთაღრიცხვის ჯამური ღირებულება და არა ცალკეული კომპონენტების ხვედრითი წილების პროცენტული ოდენობები.

მიზანშეუწონელია ასევე ანალოგიურ შესყიდვებთან დაკავშირებით სხვადასხვა ტენდერებში პრეტენდენტებისთვის არაერთგვაროვანი მოთხოვნების დაწესება. კერძოდ, სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ანალოგიურ ტენდერებში (მაგალითად SPA140009815, SPA140027701 და SPA140017663) სარეკომენდაციო წერილების წარმოდგენის მოთხოვნა დაწესებული არ იყო, მოთხოვნილი იყო მხოლოდ სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტები (სამივე ტენდერში გაიმარჯვა შპს „ინტელექტმა“). ხოლო ზემოთ განხილულ ტენდერში სატენდერო მოთხოვნებიდან გამომდინარე საკმარისად არ ჩაითვადა გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტების და ერთი სარეკომენდაციო წერილის წარმოდგენა.

ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე მიზანშეუწონილი იქნება ბიუროს მიერ სატენდერო დოკუმენტაციებით არ განისაზღვროს ისეთი მოთხოვნები, რომელთაც არსებითი მნიშვნელობა არ აქვთ. ასევე მიზანშეუწონელია პრეტენდენტების კვალიფიკაციის

²⁶ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-12 მუხლის მიხედვით.

შესაფასებლად ალტერნატიული სახის სხვადასხვა დოკუმენტების წარმოდგენის მოთხოვნა, რადგან ზედმეტი, არააუცილებელი მოთხოვნის დაყენება ზღუდავს ტენდერში მონაწილეთა რაოდენობას, შესაბამისად კონკურენციას და ფასის კლებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინების შემთხვევაში არსებობდა შესაძლებლობა, რომ განხორციელებულიყო მნიშვნელოვანი თანხების ეკონომია²⁷.

შპს „დიანასთან“ გაფორმებული ხელშეკრულება

იარაღის (37 ერთეული პისტოლეტის და 2000 ვაზნის) შესყიდვის მიზნით 2014 წლის 3 სექტემბერს ბიურომ გამოაცხადა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი (SPA140020688) შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 55.8 ათასი ლარი დღგ-ს გარეშე. ტენდერში მონაწილეობა მიიღო ორმა პრეტენდენტმა - შპს „კულამ“, რომელმაც წარმოადგინა სატენდერო წინადადება ღირებულებით 49.3 ათასი ლარი და შპს „დიანამ“, რომელმაც წარმოადგინა სატენდერო წინადადება ღირებულებით 55.8 ათასი ლარი. სატენდერო კომისიის 2014 წლის 23 სექტემბრის სხდომის ოქმის (უნომრო) და გაგზავნილი 2014 წლის 23 სექტემბრის N71371 წერილის მიხედვით დაბალი სატენდერო წინადადების ფასის მქონე პრეტენდენტი (შპს „კულა“) დისკვალიფიცირებული იქნა იმ მოტივით, რომ მის მიერ წარმოდგენილი პისტოლეტის ზომები განსხვავებული იყო სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილი ზომებისგან. კერძოდ:

- პისტოლეტის სიგრძე მწარმოებლის ოფიციალური მონაცემებით შეადგენდა 185მმ, ხოლო სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილი იყო 172მმ-176მმ.

- ლულის სიგრძე მწარმოებლის ოფიციალური მონაცემებით შეადგენდა 95მმ, ხოლო სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილი იყო 100მმ-104მმ.

- პისტოლეტის სიგანე მწარმოებლის ოფიციალური მონაცემებით შეადგენდა 37მმ, ხოლო სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილი იყო 30მმ-32მმ.

- პისტოლეტის წონა მჭიდის გარეშე მწარმოებლის ოფიციალური მონაცემებით შეადგენდა 770გ, ხოლო სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილი იყო არაუმეტეს 600გ.

შედეგად ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „დიანა“, რომელთანაც 2014 წლის 6 ოქტომბერს გაფორმდა ხელშეკრულება N224 ღირებულებით 65.8 ათასი ლარი დღგ-ს ჩათვლით.

აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნულ შესყიდვასთან დაკავშირებით მოთხოვნის ინიცირება განხორციელდა სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს აღსრულების პოლიციის სამმართველოს უფროსის 2014 წლის 13 აგვისტოს N61827 წერილით, რომელსაც ელექტრონული ფორმით დაემატა საქონლის ტაქტიკურ-ტექნიკური მონაცემები. აღნიშნულ მონაცემებში პირდაპირ მითითებულია პისტოლეტის მარკა - „Glock 19“ და ჩამოთვლილია მისი ტაქტიკურ-ტექნიკური მონაცემები. აღნიშნული მახასიათებლების მიხედვით არის განსაზღვრული სატენდერო დოკუმენტაციაში ჩამოყალიბებული მოთხოვნები. შედეგად, ფაქტობრივად სატენდერო დოკუმენტაციით ირიბი გზით გაკეთებულია მოთხოვნა საქონლის კონკრეტულ

²⁷ 2,992.5 - 2,725.0 = 267.5 (ათასი ლარი).

მოდელზე რაც ეწინააღმდეგება კანონმდებლობის მოთხოვნას²⁸. ამასთან ვერ იქნა დასაბუთებული, თუ რა კრიტერიუმებით განისაზღვრა პისტოლეტის კონკრეტულ მოდელთან დაკავშირებული ზემოაღნიშნული მახასიათებლების აუცილებლობა და რა გავლენას მოახდენდა მისგან მცირედ განსხვავებული მახასიათებლები საქონლის დანიშნულებით გამოყენებაზე.

შპს „არქთრეიდთან“ გაფორმებული ხელშეკრულება

2014 წლის 24 სექტემბერს საოფისე ავეჯის შესყიდვის მიზნით ბიურომ გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი (SPA140022513) შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 38.8 ათასი ლარი დღგ-ს გარეშე. ტენდერში მონაწილეობა მიიღო ერთმა პრეტენდენტმა - შპს „არქთრეიდი“, რომელმაც გაიმარჯვა სატენდერო წინადადების ღირებულებით 38.6 ათასი ლარი დღგ-ს გარეშე. ტენდერში გამარჯვების საფუძველზე 2014 წლის 28 ოქტომბერს ბიუროსა და შპს „არქთრეიდი“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება ღირებულებით 45.5 ათასი ლარი დღგ-ს ჩათვლით.

სატენდერო დოკუმენტაციის შემოწმებით გაირკვა, რომ მოთხოვნილი იყო შემდეგი სახის საქონელი შესაბამისი პარამეტრებით:

- სამუშაო მაგიდა: ღია კაკლისფერი, სიგრძე 140სმ, სიგანე 80სმ, სიმაღლე 73სმ, ლამინატის სისქე 18მმ, მეტალის სისქე 2მმ, საყრდენი ფეხის ზომა 5x5 სმ და ა.შ.
- საოფისე ტუმბო: ლამინატის, სამი უჯრით, 2 გასაღებით, სიგანე 43სმ, სიღრმე 55სმ, სიმაღლე 58სმ, ფერი ღია კაკლისფერი და ა.შ.
- საოფისე კარადა: ლამინატის, სიგანე 80სმ, სიღრმე 42სმ, სიმაღლე 156სმ და ა.შ.
- გორგოლაჭიანი სავარძელი: სიგანე 640მმ, დასაჯდომის სიმაღლე 380-460 მმ, სიღრმე 590მმ, სიმაღლე 900-1052 მმ, გორგოლაჭის დიამეტრი 50მმ და ა.შ.

შპს „არქთრეიდი“ სატენდერო წინადადებით წარმოადგინა ზუსტად ანალოგიური ფიქსირებული ზომების მქონე საქონელი, რითაც გაიმარჯვა ტენდერში.

ზემოაღნიშნული გარემოებების ანალიზით შესაძლებელია შემდეგი დასკვნის გაკეთება:

სატენდერო დოკუმენტაციით შესასყიდი საქონლის (საოფისე ავეჯის) აღწერისას მითითებული იყო საქონლის ზუსტი ზომები (სანტიმეტრებში და მილიმეტრებში), ასევე ისეთი მონაცემები, რომელთა მკაცრ ჩარჩოებში მოქცევა, ან საერთოდ საჭიროება არავითარ აუცილებლობას არ წარმოადგენდა და აკმაყოფილებდა მხოლოდ კონკრეტული პრეტენდენტის ინტერესებს. მაგალითად გაურკვეველია, თუ რატომ უნდა ყოფილიყო საოფისე ავეჯის თითოეული კომპონენტის ზომები (სიგრძე, სიგანე, სიმაღლე თუ სიღრმე) მკაცრად ფიქსირებული, აუცილებლად ლამინატის (ფიქსირებული სისქით - აუცილებლად 18მმ), სამუშაო მაგიდის საყრდენი ფეხის ზომა რატომ უნდა ყოფილიყო ზუსტად 5x5 სმ, ან სავარძლის

²⁸ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-11 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნა.

გორგოლაჭის დიამეტრი აუცილებლად 50მმ, ტუმბოს უჯრების რაოდენობა აუცილებლად სამი და სხვა.

ასეთ პირობებში ტენდერში ბუნებრივია, რომ მონაწილეობა მიიღო მხოლოდ ერთმა პრეტენდენტმა, რითაც ავტომატურად გამოირიცხა კონკურენცია და ფასის კლება. ზემოაღნიშნული გარემოება ხელს არ უწყობს რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფას, რასაც მოითხოვს სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობა²⁹.

შპს „მედია პორტან“ გაფორმებული ხელშეკრულება

2013 წლის 31 ოქტომბერს ბიურომ გამოაცხადა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი (SPA130023773) შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 29.7 ათასი ლარი დღგ-ს გარეშე. შესყიდვის ობიექტს წარმოადგენდა ფულადი ვალდებულებების აღებისას მოქალაქეების მიერ გასათვალისწინებელი ფაქტორების შესახებ პრევენციული ხასიათის სარეკლამო ვიდეო რგოლის განთავსება სატელევიზიო ეთერში მედია-გეგმის შესაბამისად. ტენდერში მონაწილეობა მიიღო ერთმა პრეტენდენტმა - შპს „მედია პორტან“ და გაიმარჯვა სატენდერო წინადადების ღირებულებით 29.5 ათასი ლარი დღგ-ს გარეშე. 2013 წლის 15 ნოემბერს ბიუროსა და შპს „მედია პორტან“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება N163 ღირებულებით 34.8 ათასი ლარი დღგ-ს ჩათვლით. სარეკლამო ვიდეო რგოლი ეთერში უნდა გასულიყო ტელეკომპანიების „რუსთავი 2-ის“ და „იმედის“ ეთერში 2013 წლის 16 ნოემბრიდან 30 ნოემბრის ჩათვლით.

სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური დავალების მიხედვით სავალდებულო იყო AGB სისტემით განსაზღვრული ანგარიშგების მიწოდება კამპანიის მსვლელობისას (დასასრულისას). კამპანიის დასრულებისას ჯამური ანალიზის (პოსტ ბაი ანალიზი) გაკეთება, რის საფუძველზეც უნდა გაფორმებულიყო მიღება-ჩაბარების აქტი. მინიმალური სავალდებულო რეიტინგების ჯამი დაგეგმილ კამპანიაზე უნდა ყოფილიყო 440. თუ წარმოდგენილი ანგარიშგების საფუძველზე აღმოჩნდებოდა, რომ დაგროვილი რეიტინგების რაოდენობა არ შეადგენდა დაგეგმილ რაოდენობას, თანხის ანაზღაურება არ უნდა განხორციელებულიყო.

2013 წლის 13 დეკემბრის ეა-02 3354725 ანგარიშ-ფაქტურის და 2013 წლის 16 დეკემბრის მიღება-ჩაბარების აქტის (უნომრო) მიხედვით მომსახურება გაწეულად ჩაითვა და განხორციელდა ანგარიშსწორება. მიღება-ჩაბარების აქტს თან არ ახლავს სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური დავალების შესაბამისად გაკეთებული ანგარიშგება და ანალიზი, რომელიც დაადასტურებდა სავალდებულო რეიტინგის მიღწევას და პროექტის ეფექტიანობას. აღნიშნული დოკუმენტი ბიუროში მოძიებული ვერ იქნა. შესაბამისად თანხა ანაზღაურდა სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული მოთხოვნების გათვალისწინების გარეშე. აუდიტის მიმდინარეობისას მიმწოდებლისგან ელექტრონული ფორმით გამოგზავნილი იქნა შპს „თი-ვი ემ-არ საქართველოს“ მიერ დადასტურებული რეიტინგები (შუალედური მონაცემების გარეშე), რომლის რეალობის დადგენის თვალსაზრისით ადგილი ჰქონდა აუდიტის მასშტაბის შეზღუდვას.

²⁹ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მოთხოვნა.

ბიუროს შემოსავლები

ბიუროს დაფინანსების წყაროს 2013-2014 წლებში წარმოადგენდა მხოლოდ საკუთარი შემოსავლები. ბიუროს საკუთარი შემოსავლების ძირითად წყაროებს წარმოადგენდა:

- შემოსავლები საკუთრებიდან (სადეპოზიტო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებზე ბანკების მიერ დარიცხული პროცენტები).
- საქონლისა და მომსახურების რეალიზაციით მიღებული შემოსავლები (მომსახურების რეალიზაცია და ფართის იჯარები).
- სანქციები (ჯარიმები და საურავები).
- შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები.

2013 წლის განმავლობაში ფაქტობრივმა შემოსავლებმა შეადგინა სულ 30,658.2 ათასი ლარი (საკასო - 32,512.7 ათასი ლარი). მათ შორის პროცენტები 20,215.8 ათასი ლარი (საკასო - 20,215.8 ათასი ლარი), საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია 7,753.2 ათასი ლარი (საკასო - 9,076.4 ათასი ლარი), პირგასამტეხლოები 0.9 ათასი ლარი (საკასო - 0 ლარი), შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები 2,688.3 ათასი ლარი (საკასო - 3,220.5 ათასი ლარი).

2014 წლის განმავლობაში ფაქტობრივმა შემოსავლებმა შეადგინა სულ 20,982.6 ათასი ლარი (საკასო - 22,670.4 ათასი ლარი). მათ შორის პროცენტები 10,764.1 ათასი ლარი (საკასო - 10,764.1 ათასი ლარი), საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია 9,366.7 ათასი ლარი (საკასო - 11,018.1 ათასი ლარი), პირგასამტეხლოები 99.7 ათასი ლარი (საკასო - 0 ლარი), შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები 752.2 ათასი ლარი (საკასო - 888.1 ათასი ლარი).

აღსანიშნავია, რომ ბიუროს მიერ პროცენტების სახით მიღებული შემოსავლების კლასიფიცირება წარმოებდა არასწორად. კერძოდ, შემოსავლები მიკუთვნებულია შერეულ და სხვა არაკლასიფიცირებულ შემოსავლებს, ნაცვლად საკუთრებიდან მიღებული შემოსავლებისა, რაც არ შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნას³⁰.

მომსახურების რეალიზაციით მიღებული შემოსავლები შედგება მრავალი სხვადასხვა სააღსრულებო საქმეებიდან გადახდილი საფასურებისგან, რომელთა ოდენობები და გადახდის წესი განსაზღვრულია „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის და საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 30 ივლისის N144 ბრძანების საფუძველზე. შესწავლილი იქნა კონტროლის გარემო შემოსავლების მობილიზებასთან დაკავშირებით და გამოვლინდა შემდეგი:

კრედიტორს სასამართლო გადაწყვეტილება შემოაქვს აღსრულების ეროვნული ბიუროს კანცელარიაში. ეროვნული ბიუროს კანცელარია განცხადებას არეგისტრირებს სააღსრულებო საქმის წარმოების პროგრამაში, სადაც დარეგისტრირებისთანავე კრედიტორს ენიჭება უნიკალური კოდი - იდენტიფიკატორი. კრედიტორს კანცელარიის თანამშრომელი აძლევს განცხადების მიღების ბარათს, სადაც აღნიშნულია კრედიტორის რეკვიზიტები, მათ შორის მასზე მინიჭებული იდენტიფიკატორი და სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს საბანკო

³⁰ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს N672 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის III თავის ცხრილი N1 მიხედვით (შემოსავლების კლასიფიკაციის კოდი 1 4 1 1).

რეკვიზიტები, სადაც უნდა იქნას გადახდილი სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე მოთხოვნილი თანხის წინასწარი საფასური. მხოლოდ საფასურის გადახდის მერე ხდება საქმის სრული რეგისტრაცია და მოვალეს ან მოვალეებს ენიჭებათ ასევე იდენტიფიკატორები. აღნიშნული იდენტიფიკატორით ხდება ეროვნული ბიუროს ანგარიშზე ჩარიცხული თანხის იდენტიფიცირება საქმესთან, მოვალესთან ან კრედიტორთან და ჩარიცხული თანხა ავტომატურად ებმება საქმეს.

ფინანსების, სტატისტიკისა და შესყიდვების სამსახურის ანგარიშსწორების განყოფილებაში დასაქმებულ ბუღალტრებს ჩაბარებული აქვთ ბიუროსა და მისი ტერიტორიული ორგანოების მიერ 4 კომერციულ ბანკში (საქართველოს ბანკი, თიბისი ბანკი, ლიბერთი ბანკი, კორ სტანდარტ ბანკი) გახსნილი სადეპოზიტო და ბიუროს საქმისწარმოების ელექტრონულ პროგრამასთან დაკავშირებული ანგარიშები. ყველა ბუღალტერი აწარმოებს ბრუნვით უწყისებს, აკონტროლებს ამოღებული თანხების განკარგვის შესახებ აღმასრულებლების მიერ ელექტრონული და არაელექტრონული ფორმით წარდგენილ მიმართვებს და თანხების მოძრაობას მის დაქვემდებარებაში არსებული ანგარიშების მიხედვით (კონტროლი დეტალურად აღწერილია პროცესების აღწერაში დანართის სახით ელექტრონული ფორმით).


პირობითი მოსაზრება კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ

პირობითი მოსაზრების საფუძველზე აღწერილი საკითხების გარდა, ბიუროს საქმიანობა და მისი ფინანსური ოპერაციები ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს.

აუდიტის ჯგუფის ხელმოწერები:

მთავარი აუდიტორი

გია ნადარეიშვილი

 28.12.2015


აუდიტორი

მაკა დიხამინჯია

 28.12.2015

აუდიტორ-ასისტენტი

თაია ცისკარაული

 28.12.2015

აუდიტორ-ასისტენტი

ანა ზავრაშვილი

.....
..... 28.12.2015

აუდიტორ-ასისტენტი

არჩილ ამირხანაშვილი

.....
..... 28.12.2015

აუდიტორ-ასისტენტი

თამარ ბურჯანაძე

.....
..... 28.12.2015